ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5997173

ნომერი: AR1898288

თარიღი : 20.06.2022

გაცემის თარიღი : 22.06.2022

გაცნობის თარიღი : 23.06.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 164; ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 164;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა ინწკირველი პ/ნ 01017010516
- თბილისი გ.რჩეულიშვილის ქ. N 32 ბ. 2

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ქართული ფილმის განვითარების ფონდი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202274412
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი ბოცვაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01005006576

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ნანა ინწკირველი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:
1.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი -> .ძეგლის არქიტექტურული პროექტის pdf ფაილი: - ძეგლის არქიტექტურულ პროექტში წარმოდგენილ იქნას დეტალური განმარტებითი ბარათი სამუშაოთა სრულყოფილად აღწერით და სრულად იქნას გაწერილი საკადასტრო ერთეულზე მდებარე საპროექტო შენობათა ჩამონათვალი საკადასტრო გეგმის ნუმერაციის მიხედვით;
- მოინიშნოს არსებულ და საპროექტო გრაფიკულ ნახაზებზე საპროექტო არეალები, სადაც უნდა განხორციელდეს შემდგომში სამუშაოები;
2. როგორც ისტორიულ-არქიტექტურული კვლევიდან ჩანს საკვლევი ობიექტი მე-19 საუკუნის ძეგლია და სიძველის გამო ზოგან კედლები დაბზარულიც არის. სავარაუდოდ გრუნტის წყლების ზეგავლენის წყალობით განვითარდა ჯდენითი პროცესები. გრუნტის წყლების დონე აწეულია, უბნის ზრდის შედეგად, ასევე სავარაუდოდ გაუმართავი კომუნიკაციებით გამოწვეული, ზედმეტი დატვირთვების გამო მოჭარბებული ჩამდინარე საკანალიზაციო წყლების ჩაჟონვით გრუნტში და ზემოთხსენებულ გრუნტის წყლებზე ზედდებით. ამ შემთხვევაში საჭიროა სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული ს/გეოლოგიური კვლევა, გრუნტის წყლების დონის გამოვლენის და საძიეკვლების მდგომარეობის დადგენის მიზნით. რის შემდეგაც ინჟინერ გეოლოგი გასცემს კონკრეტულ რეკომენდაციებს სამომავლო გამაგრებითი სამუშაოების თაობაზედ. ვინაიდან მოთხოვნაში ზონდირებაც არის ნახსენები, ეს ნიშნავს, რომ გეოფიზიკური კვლევაც იქნება ჩასატარებელი;
3. ვინაიდან საკვლევი პროცესი ითვალისწინებს სართულშუა გადახურვების, საყრდენი კედლების, ფასადის ზედაპირისა და სხვა კვანძების გაშიშვლებას, წარმოდგენილ იქნას კონსტრუქციული დასკვნა ჩასატარებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ;
4. საჭიროა, დაზუსტდეს რომელ შენობაზე ხორციელდება სამუშაოები. თუ სამუშაოები ხორციელდება N28/2 შენობაზე, რუკიდან N01.13.07.024.026.21.500 საკადსტრო კოდით რეგისტრირებული ამონაწერი უნდა წაიშალოს;
5. წარმოდგენილ იქნეს ა(ა)იპ ქართული ფილმის განვითარების ფონდის ხელმძღვანელობა / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა, წარმოდგენილია თანხმობა. ამასთან, შენობა N28/2 - ზე ფიქსირდება იჯარის უფლებები და განმარტებულ იქნეს განსახორციელებელი სამუშაოები ეხება თუ არა მოიჯარეებს და საჭიროების შემთხვევაში, წარმოდგენილ იქნეს შესაბამისი თანხმობები;

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge